ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 5

29 იანვარი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127[2]და163[3] მუხლების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული მე-14 მუხლის პირველი, მე-2 და 3[1] პუნქტებისშესაბამისად,ასევე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" №322 დადგენილების გათვალისწინებით, ასევე, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1691.2070 განკარგულების საფუძველზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა)მიმღებთათვის (შემდგომში - „მოსარგებლე") 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის პერიოდზე სარგებლობის ქირა შეიცვალოს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

2. მოსარგებლეს, რომელსაც ფაქტობრივად გადახდილი აქვს 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობისქირა/ქირის ნაწილი ან/და 2020 წლის1 მარტიდან პერიოდზე სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილიქირა/ქირის

ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

3. მოსარგებლეს, რომელსაც გადახდილი აქვს2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 თებერვლამდე,ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელპერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)სარგებლობის ქირა შეეცვალოს დაგანესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

4. გადასცალოს სარგებლობის ქირა დაპირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას;

5. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების მიზნით, გაათავისუფლოს მოსარგებლეები, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო,დაკისრებული/დასაკისრებელიპირგასამტეხლოსგან, 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31იანვრის ჩათვლითპერიოდზე;

6. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებებიაისახოს იმ ქვემოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ განკარგულებით გათვალისწინებული მოსარგებლეებისგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

7. წინამდებარეგანკარგულების 1-6 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება:

ა)„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში, გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა;

ბ) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

გ) „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა ელექტროსადგურის მწარმოებელიპირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

დ)იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით.

ე) იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით(შემოსავლის პროცენტით).

8. იმ პირებს, რომელთაც აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გადაეცათ უძრავი ქონების სარგებლობის (გარდა ღია კაფეს განთავსების და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებისთვის საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონებისა) ან მასზე საქმიანობის განხორციელების უფლება/ნებართვა, შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე გადაუხდელი სარგებლობის/საქმიანობის საფასურისა და მასზე დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ბოლო ვადად განესაზღვროთ 2021 წლის 1 ივლისი. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ასეთი პირები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1691.2070 განკარგულების გამოცემის დღიდან 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე გაანთავისუფლოს დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე სარგებლობის/საქმიანობის საფასურის გადაუხდელობის გამო.

9. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

10. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**